საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 21 მარტი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №76

უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვარის №73 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ქ. ოზურგეთში კოსტავას ქ.№115-ში მდებარე მრავალბინიან სახლში არსებული საცხოვრებელი ბინის (საერთო ფართი 35.15კვმ. მე-2 სართული, ოთახების რაოდენობა 3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ პასპორტში მითითებული უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების მიზნით.

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს (პირ.№33001054782).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემრულებელი: **ავთანდილ მექვაბიშვილი**